20.11.2026

ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში
2026 წლის ოქტომბერი

ექსპორტის ფასების ინდექსი **წინა თვესთან** შედარებით 0.4 პროცენტით შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 4.5 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი გაიზარდა 2.1 პროცენტით. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების ჯგუფზე ფასები შემცირდა 3.7 პროცენტით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე 45.2 პროცენტით, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასები გაიზარდა 3.8 პროცენტით, ხოლო წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე 23.7 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2026 წლის ოქტომბერში ექსპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:


კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2025 წლის ოქტომბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**102.1**	**2.11**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება**	**96.3**	**-0.45**
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**103.8**	**3.13**
19	კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები	153.3	1.25
20	ძირითადი ქიმიური ნივთიერებები და ქიმიური პროდუქტები	111.6	0.81
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**54.8**	**-0.83**
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**123.7**	**0.26**

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.11.2026

ექსპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge